



გამოცემის 42-ე წელი, ფასი 20 კპ.

# საქარა

№ 9 თბილისი მაისი 1965

— ვისი ბიჭი ხარ, დედოქოსი თუ მამიკოსი?  
— ჯერ არ ვიცი, პია, სასაზღვრო გავაწყვეტს.

### ტურისტები

ტურისტული საგზურებით მოიარა მსოფლიო, ნახა, მაგრამ ო, რა ნახა: პარიზი და ტოკიო. ინახულა მან მილანი, ტოსკანა და ვერონა, — მოსაწყენი გულსთქმანი გაიმრავალდებოვნა... ჩაიწერა დაწვრილებით რისიკ ვახდა მნახელი: ყველა ქვეყნის და ქალაქის ადგილი და სახელი... როცა ნასწავლ-განათლებულს, შინ ჩამოსვლა ეღირსა, არც აცია, არც აცხელა, — დაჯდა წერად ლექსისა. ჯერ ერთმანეთს დაუწყვილა პარიზი და ტოკიო, მერე ამთ გაურითმა „საცივი“ და „ლობიო“. მერე მადა გაეღვიძა, ფრთები ლაღად გაშალა და ერთმანეთს მიყოლო: „ვარშავა“ და „ხაშლამა“!.. ამის შემდეგ არ დატოვა ასპარეზი არცერთი: დარბაზი თუ სადარბაზო, ჟურნალი თუ გაზეთი, ავჯიკლო და დაგვაქცია ლექსის ბეჭდვა-კითხვითა... მიღებული ჰონორარიტ კვლავ საგზური იყიდა!

მიხეილ ქვლივიძე

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



მასწავლებელი — დროზე მიხედვით თქვენს ბავშვს, თორემ გამოვა ავარა, ონარი და სიცოცხლეს გაგიფარავთ.  
ფურცალი — თქვენ თვითონ მიხედვით, თორემ მე მამა ვარ და ვერაფერს მიზამს.

სერგო

1. ამას წინათ მამედ ჰუსეინ-ოღლი მამედოვი დამშვიდებული სინდისითა და საკუთარი მანქანა გრჩ 44-04-ით მცხეთიდან თბილისისაკენ ოპერატიულად მოიჩქაროდა, გადავიდა გზის მარცხენა მხარეს, ურჩინა მანქანა მ-20 64-84 გფ-ს და მის მძღოლ კარლო აშხატიანს ელვის სისწრაფით საავადმყოფოში ამოაყოფინა თავი.

ასეთი ოპერატიული მოქმედებისათვის, როგორც ამბობენ, მამედ ჰუსეინ-ოღლის ოპერატიულად აუფორიაქეს დამშვიდებული სინდისი.


2. ტაქსების პირველი გარაუის გრგ-5მ-41-ის მძღოლმა ს. გ. სანტოიანმა მანქანაში მგზავრი მოაყურა, მოჭუტა თვალები და მოუსვა. დაბატარავდა ყველაფერი მის მოჭუტულ თვალეში, ვეება ხე ბაღის ღეროდ მოჩვენა, გადავთელავო თქვა, გადავქეციო, გაიმეორა, ვერაო, გაიფიქრა ხემ თავისთვის და ჰა ბურთი და ჰა მოედანო, დასძინა, მერე ერთბაშად თვალეში დაეგსო მანქანას და თვალთ დაუბნელდა მგზავრს, სახლში რომ ეჩქარებოდა, საავადმყოფოში მიიყვანეს საჩქაროდ, სანტოიანი კი სკამზე დასვეს, ამბობენ იმ სკამს ზედმეტსახელად საბრალმდებლოს ეძახიანო.

3. კოჭრის გზატკეცილზე დღისით-მზისით, „მოსკვირ“ გრგ მ2-25-ს მოაჭირითებდა ჭემალ ერემიანი. დაეზარა მოხვევა, იფიქრა: მიხვევ-მოხვევას პატრონი მოუკვდესო, არ გადაუხვია ჭემალმა, არ გადაუხვია მანქანამ და მძღლის პრინციპულობით გაოგნებულ მგზავრებთან ერთად ხევში ჩაყვინთა, ეტაკა ხეს და ამ უკანასკნელმა ისე ჩქარა გააკეთა მალაყი, რომ თავბედის დაწყევლაც ვერ მოასწრო.

ჭემალი ჭერჭერობით თავის მგზავრებთან ერთად ერთ პალატაში წევს და პრინციპული პირდაპირობის კრილობებს იშუშებს.

4. „მოსკვირი“ გრგ-16-10-ს, რომელიც ა. ა. მელქონიანს ეკუთვნის რ. გ. მელქონიანი მართავდა კახეთის გზატკეცილზე. რ. გ. მთქვა, ა. ა.-ს მანქანა დროზე რომ მივუყვანო, სიჩქარეს უნდა ვუმატო, უმატა, უმატა, მიუნანავა, მიუღერსა ნიავმა, წამოუარა თვლემამ, ძლია ძიღმა და ნახა სიზმარი: ვითომ კოსმონავტია, კოსმოსურ ხომალდში ზის და მიჩქრის... და აი მთვლემარე „მოსკვირი“ დაეტაკა ავტობუსს, ამ უკანასკნელს ბევრი არაფერი მოსვლია, „მოსკვირს“ რაც მოუვიდა, თქვენცა ხედავთ, ხოლო რ. გ. საავადმყოფოს ლოგინს მიეჯაჭვა.

ა. ა. ამბობს, თუ ჩემს მანქანას ასეთი ბედი ეწერა, კიდევ კარგი, რ. გ.-ს რომ ვათხოვე, იღბლიანი ვყოფილვარო.



## „ნიანგის“ მოსამზადებელი კურსები

ახლოვდება უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების სახანტრელი ხანა.

იმ აბიტურიენტთათვის, რომლებიც ვერ გრძობენ თავს სათანადოდ მომზადებულად, „ნიანგმა“ გახსნა მოსამზადებელი კურსები. კონსულტანტებად და პედაგოგებად მოწვეულნი არიან ის აბიტურიენტები, რომლებმაც გასულ წლებში თავი ისახელეს ქართული წერისა და ლიტერატურის დრმა ცოდნით.

კონსულტაციამოწყურებულ აბიტურიენტთათვის უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, ვისთან აქვთ საქმე, ვაქვეყნებთ ნაწყვეტებს იმ ქმნილებებიდან; რომლებიც მათმა წინამორბედებმა მიმღებ კომისიებს ხელის აუკანკალებლად და წარბშეუხრელად გადასცეს:

„გიორგი წერეთელი გაემიჯნა თეთრგვარდიელებს და მიეკუთვნა მწერალთა განვითარების იმ ხანას, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში ი. ჭავჭავაძის მეთაურობით აღმართა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მეგობრობის მეზობლი დროში. იგი იყო ბელეტრისტიკ, პროზაიკოსიკ. მაგრამ მისი დიდი ნიჭი უფრო რომანებში გამოქვლივდა“.

\* \* \*

„ალუდა ქეთელაურმა მუცალის სულის მოსახსენიებლად დაკლა კუროპალატი“.

\* \* \*

„ალ. ჭავჭავაძემ თავისი ბრწყინვალე პოეზია ძძლავრი მარჯვენით პირველად შემოაღო ქართული ლიტერატურის კარები“.

\* \* \*

„მხოლოდ ეგნატე ნინოშვილმა შესძლო შოთა რუსთაველის შემდეგ გამოეყვანა მეზობლი გლუხობა ახალი სოციალური ყანრის განსავითარებლად. მაგალითად გოგია უიშვილი“.

\* \* \*

„იროდიონ ევდოშვილი დიდი ქართველი ბარიტონი იყო, რომელიც მთელი ხმით უმღეროდა სამშობლოს“.

\* \* \*

„ჯერ კიდევ ბავშვობიდან გადაწყვიტე გავმხდარიყავი მეზობლ-მეგენახე აგრონომი სელექციის განხრით. ერთ დღეს ჩემს მშობლებს კატეგორიულად განვუცხადე ამის შესახებ. მათ მომიწონეს გადაწყვეტილება“.

\* \* \*

„გულდათუთქული პოეტი თეიმურაზი ამბობდა: „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რა ვაუკაცი, რა დიღია“.

\* \* \*

„გალაქტიონ ტაბიძის პოეზია გაფრინდა საქართველოს ლაყვარდოვან კამერაში“.

\* \* \*

„დავით აღმაშენებელმა განდევნა არაბები და თბილისის თავზე წითელი დროშა ააფრიალა“.

\* \* \*

„ლავრენტი არდაზიანი“ ეკუთვნის გამოჩენილ ქართველ მწერალს სოლომონ მორბელაძეს“.

(ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაიჩი მეჯღანუაშვილი“).

\* \* \*

„აღსანიშნავია აგრეთვე ასმათისა და ტარიელის მეგობრობა. მაშინ, როდესაც ქალისა და ვაჟის არათუ გამოქვაბულში ერთად ყოფნა, არამედ უბრალოდ გავლაც შეუძლებლად მიჩნდათ“.

\* \* \*

„სახელოვანი და გენიოსი პოეტი, გიგანტური შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე შ. რუსთაველი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XII საუკუნის დასასრულს, რომელიც სამართლიანად ითვლება ქართული კულტურისა და პოეზიის მედრომედ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში“.

შეკრიბა ბ. ს-მ.



ახალი საცირკო აბრაქციონი საიგოფში

ნ.ბ. ბ. ლორთქიანი

## „ეიფელის კოშკი“

ფრანგი ტურისტი, რომელსაც მეგზურობას ვუწვევ, ალტაცებულია ქუთაისით და უცნაურად შლის ხელებს. მეტისმეტი დაძაბულობისაგან კისერი გამოიშვდა. თავმოშონე მიხრა-მოხრით ხან აქეთ ვახედებ სტუმარს, ხან იქით. უეცრად მანქანა მკვეთრად დამუხრუჭდა.

— რა მოხდა?  
უცხოელზე მეტად მე მაინტერესებს— რა მოხდა, მაგრამ სიტყვას ბანზე ვაგდებ. ჩვენს წინ თივის ბულულებით

დატვირთული ავტომანქანაა გაჩხერილი. ვიწრო გზის თავზე ისე დაბალზეა გადავლებული რკინის კონსტრუქცია, რომ მის ქვეშ გავლისას ნახევარი ზვინი ყირამალა წამოვიდა.

— ეს რა ნაგებობაა?  
— ეს?.. ეს ჩვენი ეიფელის კოშკია... ხომ გაგიგონიათ?  
— გაგიგონია, — ორჭოფული ღიმილით დამეთანხმა. — მაგრამ მაინც რა არის?

მე განვუცხადე, რომ ვერაფერს ვიტყვი, რადგან ფეხებისა და ხელების ქნევით ამის ახსნა არ შეიძლება, ფრანგული კი არ ვიცი.

...როინის ორთავე ნაპირზე 50 მეტრის სიმაღლეზე აღმართულმა ამწეებმა ააშენეს გუმბათქესი. მოვიდა სინათლე, მაგრამ „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელიაო“. ამ უშველებელი ამწეების დემონტაჟი „დაავიწყდათ“. გზა ასაშენებელია, ასამაღლებელი, გასასწორებელი. წვიმის დროს აქ ისეთი ტბა დგება, წყალსაცავი გეგონებათ.

ვინ რა არ თქვა ამ ამწეებზე: ერთმა— იღებენო; მეორემ—რა თავში იხლიანო; მესამემ—ჭართად მაინც გამოადგებათო; მეოთხემ—მაგის დაშლა უფრო ძვირი დაუჯდებათო; მეხუთემ—აბა, ასე უნდა დატოვონო? მეექვსემ—აბა, რა უყოფნა?; მეშვიდემ—რა ვიცი მეო!; მერვემ—აბა, გაჩუმდი, თუ არ იციო!

და, მართლაც, მერვე წელია, ჩამიჩუმბი არ ისმის.

აფხე ჯართოლანი





# იყმ-ღა-ქრა-იყმ-რა

## გულმავიწყი კაცი ახვავი

გულმავიწყი კაცი იყო. ყველაფერი ავიწყდებოდა. ჯერ იყო და წინა ღამის სიზმარი დაავიწყდა. შემდეგ ხელ-პირის დაბანა დაავიწყდა. შემდეგ აღარ ახსოვდა ისაუბრა თუ არა და, ყოველ შემთხვევისათვის, რამდენჯერმე ისაუბრა. შემდეგ სამსახურში წასვლა დაავიწყდა და შინ დარჩა. შემდეგ ისიც დაავიწყდა, შინ რომ დარჩა და ხელმეორედ დარჩა შინ.

დაავიწყდა გულმავიწყ კაცს, ცოლი რომ ჰყავდა და მეორე ცოლი მოიყვანა. მაგრამ დაავიწყდა პირველი გავშვა. შემდეგ ისიც დაავიწყდა მეორე ცოლი გავშვა და მესამე მოიყვანა.

მხოლოდ ერთხელ დაავიწყდა გულმავიწყ კაცს გულმავიწყი რომ იყო: ყველა თავისი ვალი გაახსენდა. შეწუხდა გულმავიწყი კაცი და ღიძინა იხსენებდა თავის გულმავიწყობას და, ბოლოს, როგორც იქნა, გაიხსენა. კიდევ უფრო გულმავიწყი გახდა გულმავიწყი კაცი.

სულ ბოლოს გულმავიწყ კაცს ისიც დაავიწყდა, რომ დაიბადა და ხელახლა დაიბადა, ოღონდ ამჯერად გულმავიწყი დაიბადა.

## ერთი კაცი ახვავი

ერთი კაცი იყო და სადარდელიც ერთი ჰქონდა — ერთი რატომა ვარო. ხან აქეთ ეცა, — მაინც ერთი იყო, ხან იქით ეცა — ერთი იყო და ერთი. სხვები ამზიდებდნენ — რა ვადარდებს, კაცო, ვანა ყველა თითო-თითო არა ვართო?!

— არაო, — უპასუხებდა, — ამდენი კაცია ქვეყნად, რამდენიც გინდათ, იმდენია და ნუთუ ჩემს გარდა არც ერთი იმათგანი არა ვარ მეო. გაუდგა გზას — იქნებ მეორეც ვიყოო.

ოცნებობდა: ერთი რომ ცას შევხვდავდი, მეორე მიწას ჩავაშტერდებოდიო; ერთი რომ ვიცეკვებდი, მეორე ვიმღერებდიო; ერთს რომ მეტკინებოდა, მეორე ვიქნებოდიო; ერთი რომ მოკვდებოდი, მეორე დავრჩებოდიო... დილა და ჩაეძინა.

ესიზმრა: მის გარდა ყველა თვითონ იყო და ყველას თითო-თითო დარდი ჰქონდა — თითო რატომ ვართო... შეშინებულს გამოეღვიძა და საჩქაროდ დაბრუნდა თავის სოფელში.

## კეთილი კაცი ახვავი

კეთილი კაცი იყო. ცოლიც კეთილი ჰყავდა იმ კაცს და შვილებიც. ერთი ვირიც ჰყავდა. ვირიც კეთილი იქნებოდა, ვერად რომ არ გაჩენილიყო.

ერთხელ კეთილი კაცი ერთი სოფლიდან მეორეში უნდა გადასულიყო. შეჯდა ვირზე და გაუდგა გზას.

კოტა გზა გაიარა და შეხვდა ერთი მოხუცი. კეთილი იყო კეთილი კაცი და შესვა მოხუცი ვირზე.

კოტა გზა გაიარა და შეხვდა ერთი ბავშვი. კეთილი იყო კეთილი კაცი და შესვა ბავშვი ვირზე.

კოტა გზა გაიარა და შეხვდა ორი ქალი: ერთი ლამაზი და ერთიც ულამაზო. ორივე ვირზე შესვა.

კოტა გზა გაიარა და ხედავს: აქლემი წაქცეულა, ტვირთი გვერდზე აგდია. ზის აქლემის პატრონი და ტირის. კეთილი იყო კეთილი კაცი და აქლემი თავისი ტვირთით, აქლემის პატრონი თავისი ცრემლებით ვირზე დასვა.

კოტა გზა გაიარა და ხედავს გზისპირას დიდი ლოდი აგდია. კეთილი იყო კეთილი კაცი და ლოდიც ვირზე დადო.

კოტა გზა გაიარა და ვირმა უთხრა კეთილ კაცს — კეთილო კაცო, მეც შემსვი ვირზე. კეთილი იყო კეთილი კაცი და ვირიც შესვა ვირზე.

კოტა გზა გაიარეს და კიდევაც მივიდნენ მეორე სოფელამდე.

## მხდალი კაცი ახვავი

მხდალი კაცი იყო. ისეთი მხდალი, რომ შინიდან გასვლისაც ეშინოდა.

ამბობდა: შინიდან რომ გავიდე, ვაითუ ვინმე შემომხვდეს, ავად შემომხედოს, წამეჩხუბოს, მცემოს... არ გავალ შინიდან.

ამბობდა: შინიდან რომ გავიდე, ვაითუ ქალი მომეწონოს, მასაც მოვეწონო, შემიყვარდეს და შემეყვაროს, ცოლობა ვთხოვო და ისიც დამთანხმდეს... არ გავალ შინიდან.

ამბობდა: შინიდან რომ გავიდე, ვაითუ ცოლმა საყვარელი მოიყვანოს, იალერსონ და ისიყვარულონ, მე კი არა ვიცოდე რა... არ გავალ შინიდან.

ამბობდა: შინიდან რომ გავიდე და შვილი მართო დარჩეს, ასანთს გავკრას და ცეცხლს მისცეს სახლი, თავდაც შიგ ამოიბუგოს... არ გავალ შინიდან.

ამბობდა: ვაითუ ქერი ჩამოინგრეს და მეც ქვეშ მოვყვე, შინ რომ დავრჩეო...



— ბელაფონი გამოიყვანოს ვინმე და, ღვერთმანი, ათას მანეთს უფუფაშაშაბ.  
— ხუთასი მანეთი მოგები და, სადაც დარბაკა დაბირდება, მი გაბეზავენები...

## საწყენი დასაწყისი

ერთი ხანდაზმულ რედაქტორთან ერთი დამწყები პოეტი შევიდა. ძლივს-ღა სუნთქავდა.

— პატივცემულო! ერთი ლექსი მოგიტანეთ, ერთი საათის წინ დავწერე, ერთი ამოსუნთქვით.

რედაქტორმა ლექსი ერთხელ გადაიკითხა, ერთი ღრმად ამოიხსრა, ხელნაწერი ერთი ამოსუნთქვით დამწერს დაუბრუნა და უთხრა:

— რატომ ჩქარობ? რამდენჯერმე ამოსუნთქე, თუ საჭიროდ ჩათვლი, ჩაიხუნთქე კიდევ. დაწყნარდი, დაფიქრდი, ისე დაწერე და მეორე მომიტანე!

დამწყებ პოეტს თვალეები მოუწყულიანდა, სუნთქვა შეეკრა და რედაქტორის კაბინეტის კარები გაეხსნა.

ბაიუ ბილია



ნ. მ. ჯიშკარიანი

— კარგი რა, უფროსო, რამდენს ფიქრობ, თინდება, ქუჩა უნდა დაგვაგვო.

გიგა მაშინ დაწყებით სკოლაში სწავლობდა, ჩვენ რომ შემოქმედებითად დავუკავშირდით ერთმანეთს. ერთხელ ჩემი კაბინეტის კარი შემოაღო, მაგიდაზე რვეული დამიდო და მითხრა:

— მიბრუნე სიტყვა „სინდისი“. მე რაღაც არ გამომდის...

დავეხმარე. გიგას დედამ მეორედ დედს მეზობლებს ახარა, ბიჭმა ქართულ ენაში ხუთიანი მიიღო.

გიგამ ჩემს ნახვას უხშირა. ყოველთვის ბავშვური გულუბრყვილობით შესცქეროდა ჩემს ავტომატურ კალამს.

— მელანი არ გეყოფა, — მითხრა ერთხელ.

— თხულებათა სრულ კრებულსაც ეყოფა, — ვუპასუხე ამაყად.

— მართლა? — შემეკითხა გიგა. — მაშინ დამიწერე თხულება: „სინდისი, ლეო ქიაჩელის რომანებში“. მე რაღაც არ გამომდის...

ერთი კვირის შემდეგ მეზობლებმა შეიტყვეს, რომ გიგას

# სინდისი

თხულებამ ძალი შეფასება მიიღო. ულოცავდნენ გიგას და მის მშობლებს. მეც ბედნიერად ვგრძნობდი თავს...

გიგა რომ სიმწიფის ატესტატზე გამოცდებს აბარებდა, მე უფასო შევებულების აღება მომიხდა. საგამოცდო თემის ასოციატოთხმეტი ვარიანტი გამოვაცხვე. გიგა უნივერსიტეტში ჩაირიცხა. ყველამ მიულოცა მშობლებს. რა თქმა უნდა, გიგას წარმატებით მეც ვამაყობდი...

გიგას პირველი მოთხრობა, „სინდისი თუ გაქვს“, უნივერსიტეტის ალმანახში დაიბეჭდა. გული და სული ამ მოთხრობაში ჩავაქსოვე, მაგრამ გიგა უპაყოფილო იყო:

— აღრე უკეთესად გამოგდიოდა. ხომ არ ბერდები?

გიგას დიდი ლიტერატურული მომავალი უწინასწარმეტყველეს.

მიიწვიეს ერთ-ერთ რედაქციაში, რის გამოც სასწრაფოდ მომიხდა მოთხრობის დაწერა. მოთხრობას „უსინდისო“ ერქვა. იგი ითარგმნა მოქმე ხალხების ენებზე, რადიოთი გადასცემდნენ. კვლავ მიულოცეს გიგას მშობლებს. მეზობლის ნიჭმა კიდევ ერთხელ მომანიჭა სიამოვნება...

აი ეკრანებმა ახალი მხატვრული ფილმი „უსინდისო“ იხილეს. კინოკრიტიკოსებმა ცამდე აიყვანეს სცენარის ახალგაზრდა ავტორი. ყველა ეხვეოდა გიგას... მაშინ უნდა გენახათ ჩემი სიხარული, შემოქმედებითი უნაყოფობისა და საწევროების გადაუხდელობის გამო, მწერალთა კავშირიდან რომ გამომრიცხეს... ახლა უკვე არაფერი მიშლიდა ხელს გიგას ახალი მიღწევებით რომ მეამაყა...

ვგრძნობდი, გიგა შორს წავი-

ლოდა. მის საკანდიდატო დისერტაციაზე „სინდისის ეთიკური გაგება ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ნაწარმოებებში“ ბევრი დამე გავათენე, რისაც გამ დიდი წვლილი შეიტანა შემეხიერებაში.

ამ დღეებში გიგას იუბილე გადაუხადეს. პატარა ბიჭუნამ ჩემი დაწერილი საკუთარი ლექსი წაიკითხა. იუბილეს არ დაკლებია სახალხო არტისტები და დამსახურებული ვეტერინარები. შემდეგ გიგამ ჩემი ორი ლამის ნამუშევარი სიტყვით მიმართა საზოგადოებას. სიტყვა მოქალაქისა და ადამიანის სინდისს ეხებოდა. მე მოვისმინე ეს სიტყვა და ცრემლები ვერ შევიკავე. გამახსენდა, პირველად რომ ვაბრუნე სიტყვა „სინდისი“...

კინალამ არ დამავიწყდა! ეს მოთხრობაც „სინდისისათვის“ გიგამ შემეკვთა. გიგას იგი მოეწონა. შეიძლება მას ჩემი გვარი მოეწონა?

თ. მახალაძე

## სინდისის ქრონიკები

სახლი, რომელსაც ეწო არა აქვს

(თბილისი. პირველი მაისის რ-ნი) როგორც პლენარის პროსპექტის № 102-104-ის მდგმურები იტყობინებინ, უკვე მრავალი წელია მათ აივანსა და ეზოს ყოფს რკინის ბადე. ბადის აქეთ მოსახლეობაა, იქით მედ-მომარაგების საწყობი. მდგმურები წლების განმავლობაში სამართლიანად მოითხოვდნენ ბადის აღებას და ეზოში გასვლის უფლებას. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ჩანს, მდგმურებმა მიიღეს დაპირება—უახლოეს დროში საწყობი გადავა სხვა რეზიდენციაში, მაგრამ კიდევ უკანასკნელი ცნობების საფუძველზე მოსახლეობა შესფოთებულია, რადგან საწყობს კაპიტალური რემონტი გაუკეთდა. ისე, რომ, მოსალოდნელია, მომავალში აქ გადმოვიდეს სხვა ორგანიზაცია და ბადე მდგმურებს დარჩეთ, ეზო — ორგანიზაციას.

### ეზო, რომელსაც ექნება კეთილმოწყობილი ტბა

(თბილისი. ორჯონიძის რ-ნი). პეკინის ქუჩა № 68-ის ეზოში დიდი ხანია არსებობს ბუნებრივი ტბა, რომელსაც საკმაოდ დიდი ფართობი უკავია. მობინადრეები დაუინებით მოითხოვდნენ ამ ტბის ამოშრობას, მაგრამ ამაოდ. ყოველგვარი საჩივარი უყურადღებოდ დარჩა. როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ჩანს, მდგმურებმა შეცვალეს საჩივარი და გადავიდნენ თხოვნაზე — კეთილმოწყობნ ტბა, გააკეთონ პლაჟი, დადგან საჩრდილობლები, მოაწყონ გლისერებით სეირნობა და სხვა. იმედია ამ თხოვნას მაინც დააკმაყოფილებენ სათანადო ორგანიზაციები და მალე პეკინის 68-ს მხიარულება მოიცავს.




ფეხბურთის მატამორფოზა.



საბაბირო გზის გახსნა.


რედაქტორი ნ. დუმბაძე  
 სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.  
 თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78  
 ხელმოწ. დსაბ. 29/IV-1965 წ. ქალ. ზომა 70x108 1/2 0,5 ნაბ. ფურც. 137. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კბ ცვ გამოცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეგ. № 1472. უგ. ც3162 ტირაჟი 40000.  
 საქ. კბ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



ნახ. ზ. ფორენტიხა

„ნინავი“ თავის მკითხველს თავაზობს ნახატ-  
გამოცანებს: გამოიცანით:

1. ვინ და რით ააუფანა ეს აგარაკები?
2. რატომ არის ერთ-ერთი მათგანი დაუმთავ-  
რებელი და რა გედი ეწერა მის კატრონს?



სალომე უახეშის  
ცაქსაქ მანათი